თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

# ო ქ მ ი N 2

ქ. თელავი 2022 წლის 17 თებერვალი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ლევან კოჭლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ღაღანიძე, ზურაბ მოსახლიშვილი, ზაზა ტატულიშვილი, გიორგი ქართლელიშვილი, ივანე კირვალიძე, მამუკა ბურდიაშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, რამაზ ჩეკურიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ლილუაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ბერძენაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი იმედა კევლიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით ქსოვრელიშვილი.

## დ ღ ი ს   წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 29 დეკემბრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს: ლ. კოჭლოშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 29 დეკემბრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: რამაზ ჩეკურიშვილმა აღნიშნა, რომ პროექტში არ არის წარმოდგენილი სოფ. ფშაველის გზის მოასფალტების საკითხი.

იმედა კევლიშვილმა აღნიშნა რომ წინანდლის სკოლის გზა საჭიროვებს რეაბილიტაციას, რაზედაც დავით ქსოვრელიშვილმა უპასუხა, რომ სკოლის გზაზე იგეგმება ორმოული სამუშაოების ჩატარება.

ივანე კირვალიძემ აღნიშნა, რომ ქვემო ხოდაშენში გარე განათების სანათები არის დაზიანებული, და იკითხა თუ როდისთვის იგეგმება აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

დავით ქსოვრელიშვილმა განაცხადა, რომ გარე განათების სანათების დამონტაჟება მოხდება ეტაპობრივად.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 29 დეკემბრის N03 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი